

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია „ბათუმი რივიერას“ საქმეზე გაცემულ მშენებლობის ნებართვას ასაჩივრებს

დღეს საია-მ ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე ორგანიზაცია „ბათუმის □ სახელით „ბათუმი რივიერას □ მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული ნებართვა გაასაჩივრა. ადმინისტრაციულ საჩივარს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განიხილავს. საია მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტები არღვევს გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსით, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით, სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის

საია-მ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით შეისწავლა სამშენებლო დოკუმენტაცია. გამოიკვეთა, რომ ერთ შემთხვევაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მეორე შემთხვევაში კი - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ პროცესი წარმართულია კანონმდებლობის უხეში დარღვევით და გადანყვეტილებების მიღებისას არ შეფასებულა პროექტის გავლენა გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ქალაქის ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობასა და ეკონომიკაზე. ასევე შეუსწავლელია პროექტის ურბანული თავსებადობა ქალაქთან, ბუღვართან და სანაპირო ზოლთან, წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ფიზიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან. შესაბამისი უწყებების მხრიდან ამ პროცესში ასევე არ გაანალიზებულა საჯარო და კერძო ინტერესები და საბოლოოდ მიღებულია გადანყვეტილება, რომელიც უხეშად ლახავს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს.